სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო მომსახურების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ფრიდონ შენგელია

„10“ 02 2016 წელი

ეგზ. N1

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო
სამსახურის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში 04/36

2013 წლის 1 იანვარი - 2015 წლის 1 ივლისი

შინაარსი

გამოყენებული შემოკლებანი 3

შემაჯამებელი მიმოხილვა 4

შესაბამისობასთან დაკავშირებით გამოვლენილი გარემოებები 7

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მოსამსახურეებზე გაცემული ხელფასები, პრემიები და დანამატები 7

ქ.თბილისში უნებართვო შენობა - ნაგებობების დემონტაჟის სამუშაოებზე, თვითნებურად გაჩეხილი მწვანე ნარგავების დამუშავებისა და გატანის და მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნისათვის აკრძალური ზონიდან სპეციალურ ადგილზე გადაყვანისა და მოვლა-პატრონობის მომსახურებაზე გახარჯული სახსრები 8

მკაცრი აღრიცხვის ფორმების მიღება - ჩამოწერა და მათი ინვენტარიზაცია 10

სამშენებლო სამართალდარღვევები 12

განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში განსაზღვრული ზონები 14

მწვანე ნარგავების უკანონო ჭრის და დაზიანების შედეგად გარემოსათვის მიყენებული ზიანის დაანგარიშება 18

ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე სახელმწიფო ან ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავებისა ან/და მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობა 19

ქ. თბილისის თვითმმართველი ქალაქის კუთვნილ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნა 22

თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯება 22

მწვანე ნარგავების უკანონო გაჩეხვის, დაზიანების, გადატანის და მოვლა პატრონობის წესების დარღვევა 22

ქ. თბილისის ტერიტორიის დაზიანება სამშენებლო ან სარემონტო სამუშაოების წარმოებისას 25

რეკლამის დაკვეთის, წარმოებისა და გავრცელებისათვის დადგენილი წესების დარღვევა 28

ცხელ ხაზზე შემოსულ განცხადებებზე(საჩივრებზე) რეაგირება 28

გამოყენებული შემოკლებანი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური - ზედამხედველობის საქალაქო სამსახური;
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური - ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური;
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური - კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური;
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახური - არქიტექტურის სამსახური;
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტო - ქონების მართვის სააგენტო;
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო - აღსრულების ეროვნული ბიურო ;
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი - კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი;
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური - საფინანსო სამსახური.

შემაჯამებელი მიმოხილვა

1. აუდირებელ პერიოდში ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის თანამშრომლების შრომის ანაზღაურებაზე სულ გახარჯულია 7,517.5 ათასი ლარი, მათ შორის სამსახურის კუთვნილი ასიგნებიდან 5,600.6 ათასი ლარი და მერიის ადმინისტრაციის ასიგნებიდან - 1,916.9 ათასი ლარი. ცალკეულ შემთხვევებში თვის განმავლობაში გაცემული პრემიისა და დანამატის ოდენობა თანამდებობრივი სარგოს 400%- ს შეადგენდა;

2. თბილისის მერის ბრძანების საფუძველზე ადგილი აქვს კონკრეტულ თანამშრომლებზე წინასწარ, მთელი წლის განმავლობაში დანამატის დანიშვნის ფაქტს, რაც თავისი ყოველთვიური შინაარსიდან გამომდინარე უფრო თანამდებობრივი სარგოს ხასიათს ატარებს ვიდრე დანამატის.

3. უნებართვო შენობა - ნაგებობების დემონტაჟის სამუშაოებზე სათანადოდ დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, მხოლოდ ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე, შესრულებულია სულ 11.4 ათასი ლარის სადემონტაჟო სამუშაოები. ამასთან, ამ ფიზიკურ პირების მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაწყებულა და საქალაქო სამსახურს სამართალდამრღვევისათვის არ მოუთხოვია გაღებული ხარჯების ანაზღაურება;

4. 2013 – 2014 წლებში ქ. თბილისის მერის ბრძანებებით დამტკიცებული წესის შესაბამისად არ ხდებოდა მკაცრი აღრიცხვის ფორმების გაცემის რეგისტრაციის ჟურნალების წარმოება. ასევე, არ ჩატარებულა მკაცრი აღრიცხვის ფორმების ინვენტარიზაცია , ხოლო 2015 წელს ჩატარებული ინვენტარიზაცია არასრულყოფილია და მისი შედეგები არ გაფორმებულა დადგენილი წესის შესაბამისად. 2011 – 2014 წლებში მიღებული ფორმები ხარჯებში ჩამოწერილია გაცემისთანავე და არა მათი ფაქტიური ხარჯვის შესაბამისად;

5. 2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 ივლისამდე პერიოდში, სამშენებლო სამართალდარღვევებზე მიღებული დადგენილებების შესაბამისად, დარიცხული ჯარიმის (საურავის) თანხებზე სააღსრულებლო ფურცლები შედგენილი არ არის და თანხების იძულებით ამოღება - მიქცევის თაობაზე არანაირი რეაგირება არ განხორციელებულა. კერძოდ, ამ პერიოდში იძულებით აღსასრულებლად არ იქნა გადაგზავნილი 50 დადგენილება 468.0 ათასი ლარის საჯარიმო თანხების ამოღებაზე [1] . მიუხედავად ჯარიმის გადაუხდელობის და სამართალდარღვევების ფაქტების აღმოუფხვრელობისა არ იქნა დარიცხული 282.0 ათასი ლარის საურავი და 1,086.0 ათასი ლარის სამმაგი ოდენობის ჯარიმა;

6. ჩადენილი სამშენებლო სამართალდარღვევებისათვის 2013 – 2014 წლებში ამნისტირებულია 160 სუბიექტი. 54 სამართალდამრღვევ სუბიექტს არ აქვს სამშენებლო სამართალდარღვევა გამოსწორებული და მათზე არ არის დარიცხული სამმაგი ოდენობის ჯარიმა - 816.0 ათასი ლარის ოდენობით, მაშინ როდესაც ამნისტირებულ 6 სამართალდამრღვევ სუბიექტზე ზედამხედველობის სამსახურის მიერ დარიცხულია სამმაგი ოდენობის ჯარიმა;

7. ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში სათანადო კონტროლი არ არის დაწესებული განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში განსაზღვრულ ზონებში სამშენებლო სამუშაოების ან მშენებლობის ეტაპის მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობისათვის და ამავე ზონაში(ზონებში) არაფუნქციონირებადი/მიტოვებული შენობა - ნაგებობის განვითარების მიზნით მშენებლობის ნებართვის დადგენილ ვადაში აუღებლობისათვის კანონმდებლობით დადგენილი საჯარიმო სანქციების გამოყენებაზე;

[1] 2013 წელს 31 დადგენილება - 224.0 ათასი ლარის ჯარიმის თანხებზე, 2014 წელს 18 დადგენილების - 234.0 ათას ლარზე და 2015 წლის 6 თვეში კი 1 დადგენილება 10.0 ათას ლარზე.

8. 2015 წლის დასაწყისიდან 2015 წლის 18 აგვისტომდე პერიოდში ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური გარემოსათვის მიყენებული ზიანის ოდენობის დადგენას აღარ ახდენდა, რის გამოც ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2015 წელს შედგენილ 22 საველე აქტებით დადგენილ ზიანებზე თანხები დაანგარიშებული არ არის.ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2013 წელს შედგენილი 75 საველე აქტი მხოლოდ აუდიტის მიმდინარეობის პროცესში გადაიგზავნა ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურში.

8. მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავებისა ან/და მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობისისათვის 5 სამართალდამრღვევ სუბიექტს ადმინისტრაციული სახდელი 10.0 ათასი ლარის ოდენობით დადგენილი ვადის გასვლის შემდგომ განესაზღვრათ. 8.0 ათასი ლარის ოდენობით ჯარიმის გადახდის იძულებით აღსრულების და იმავე ოდენობით საურავის დარიცხვის მიზნით კანონმდებლობის მოთხოვნები სამსახურს არ შეუსრულებია. მითითებულ ფაქტებთან დაკავშირებით სამსახურს 9 შემთხვევაში სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება უნდა დაეწყო, რის შედეგადაც თბილისის ბიუჯეტს დამატებით 90.0 ათასი ლარის მიღების საშუალება ექნებოდა;

9. მწვანე ნარგავების უკანონოდ გაჩეხვისა და დაზიანების 81 ფაქტზე სამართალდამრღვევის (ვალდებული პირის) და ზიანის ოდენობის დადგენის შემდეგ სამსახურს თვითმმართველობისთვის მიყენებული 229.9 ათასი ლარის ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად კანონმდებლობის მოთხოვნები არ შეუსრულებია;

10. თბილისის ტერიტორიაზე ეზოების, სკვერების, ქუჩებისა და მოედნების უნებართვო გადათხრის ფაქტებზე დაჯარიმებული 20 სამართალდამრღვევის მიმართ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის შედეგად თბილისის ბიუჯეტმა 37.0 ათასი ლარის მიღების შესაძლებლობა დაკარგა. 10 შემთხვევაში სამსახურმა არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ დარღვევა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონაში იყო ჩადენილი და სამართალსუბიექტებს ადმინისტრაციულ სახდელად 4.0 ათას ლარის ნაცვლად არასწორად 2.0 ათას ლარი განესაზღვრათ. ეს ფაქტორი სამსახურმა ასევე არ გაითვალისწინა თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯების ფაქტებზე 8 სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას, რამაც სულ 18 შემთხვევაში დადგენილ და კანონის შესაბამისად დასადგენ სახდელის ოდენობებს შორის ჯამში 28.0 ათასი ლარის სხვაობა განაპირობა.

უნებართვო გადათხრისა და სანებართვო პირობების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით შედგენილ დათვალიერების 10 ოქმზე სამსახურს სამართალდამრღვევთა მიმართ ადმინისტრაციული წარმოება არ დაუწყია.

აუდიტის მასშტაბი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 ივლისამდე პერიოდში განხორციელებული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამობების ან/და ნაკლოვანების სახით გამოვლენილი იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომ გამოირიცხოს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეული არსებითი კანონშეუსაბამობები.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია, აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას, განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან. აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013-2014 წლების და 2015 წლის 6 თვის საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებით შეუსაბამობის ფაქტებს.
აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით.

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“.

„ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

შესაბამისობასთან დაკავშირებით გამოვლენილი გარემოებები

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მოსამსახურეებზე გაცემული ხელფასები, პრემიები და დანამატები

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურიდან წარმოდგენილი ინფორმაციით ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის თანამშრომლებზე საუდიტორო პერიოდში შრომის ანაზღაურების სახით სულ გაცემულია 7,517.5 ათასი ლარი, მათ შორის: ხელფასებზე 4,488.5 ათასი ლარი, პრემირებაზე 2,370.2 ათასი ლარი, დანამატებზე 472.7 ათასი ლარი და შტატგარეშე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებაზე 186.1 ათასი ლარი[2].

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია მონაცემები 2013, 2014 წლებში და 2015 წლის 1 ივლისამდე პერიოდში შრომის ანაზღაურების სახით გაცემული თანხების შესახებ:

(ათასი ლარი)

დასახელება	**2013**	**2014**	**2015**
თანამდებობრივი სარგო	1,803.8	1,852.1	832.6
პრემია	1,258.8	930.5	180.9
დანამატი	209.3	191.3	72.1
შტატგარეშე მომუშავეების ანაზღაურება	33.7	112.0	40.4
სულ	3,305.6	3,085.9	1,126.0

მათ შორის ასიგნებების მიხედვით:

(ათასი ლარი)

დასახელება	**2013**		**2014**		**2015**	
	ზედამხედველობის ასიგნებებიდან	მერიის ადმინისტრაციის ასიგნებებიდან	ზედამხედველობის ასიგნებებიდან	მერიის ადმინისტრაციის ასიგნებებიდან	ზედამხედველობის ასიგნებებიდან	მერიის ადმინისტრაციის ასიგნებებიდან
თანამდებობრივი სარგო	1,803.8	-	1,852.1	-	832.6	-
პრემია	422.6	836.1	280.7	649.9	180.9	-
დანამატი	-	209.3	-	191.3	72.1	-
შტატგარეშე მომუშავეების ანაზღაურება	26.7	7.0	88.7	23.3	40.4	-
სულ	2,253.1	1,052.5	2,221.5	864.4	1,126.0	-

[2] საქონელი და მომსახურების მუხლიდან.

შრომის ანაზღაურების მუხლით გაცემული თანხების %-ლი შეფარდება

დასახელება	2013	2014	2015 6 თვე
თანამდებობრივი სარგო	55%	62%	77%
პრემია	39%	31%	16%
დანამატი	6%	7%	7%

აუდიტით დადგენილ იქნა, რომ ცალკეულ შემთხვევებში თვის განმავლობაში გაცემული პრემიისა და დანამატის ოდენობა თანამდებობრივი სარგოს 400%[3]- ს შეადგენდა.

თბილისის მერის ბრძანების საფუძველზე ადგილი აქვს კონკრეტულ თანამშრომლებზე წინასწარ, მთელი წლის განმავლობაში დანამატის დანიშვნის ფაქტს, რაც თავისი ყოველთვიური შინაარსიდან გამომდინარე უფრო თანამდებობრივი სარგოს ხასიათს ატარებს ვიდრე დანამატის.

ქ.თბილისში უნებართვო შენობა - ნაგებობების დემონტაჟის სამუშაოებზე, თვითნებურად გაჩეხილი მწვანე ნარგავების დამუშავებისა და გატანის და მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნისათვის აკრძალური ზონიდან სპეციალურ ადგილზე გადაყვანისა და მოვლა-პატრონობის მომსახურებაზე გახარჯული სახსრები

2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 ივლისამდე პერიოდში, ქ. თბილისში უნებართვო შენობა - ნაგებობების დემონტაჟის სამუშაოებისათვის, თვითნებურად გაჩეხილი მწვანე ნარგავების დამუშავებისა და გატანისათვის , მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნისათვის აკრძალური ზონიდან სპეციალურ ადგილზე გადაყვანა და მოვლა-პატრონობისა და ავარიული შენობა ნაგებობების საექსპერტო მომსახურებისათვის ქალაქ თბილისის დამტკიცებული ბიუჯეტით[4] გათვალისწინებული იყო სულ 650.0 ათასი ლარის ასიგნება, რომელიც განხორციელებული ცვლილებების შედეგად შემცირდა 380,0 ათასი ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ 269.2 ათასი ლარი შეადგინა.

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების საჭიროებიდან გამომდინარე ამ პერიოდში ჩატარებული[5] 8 ელექტრონული ტენდერისა და 2 გამარტივებული შესყიდვის მეშვეობით მომწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულებამ შეადგინა 592.6 ათასი ლარი[6] შეადგინა. ფაქტიურმა შესრულებამ კი ამავე პერიოდში მხოლოდ 56.9 ათასი ლარი. აქედან უნებართვო შენობა - ნაგებობების დემონტაჟზე შესრულებულია 52.9 ათასი ლარის სამუშაოები, თვითნებურად გაჩეხილი მწვანე ნარგავების დამუშავებისა და გატანისათვის 1.6 ათასი ლარის სამუშაოები, მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის აკრძალური ზონიდან სპეციალურ ადგილზე გადაყვანა და მოვლა-პატრონობისათვის 0.4 ათასი ლარი და საექსპერტო მომსახურებისათვის 2.0 ათასი ლარი.

უნებართვო შენობა - ნაგებობების დემონტაჟის სამუშაოებზე გახარჯული სახსრების აუდიტით[7] დადგენილ იქნა, რომ 2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე პერიოდში სათანადოდ დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე[8], მხოლოდ ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი

[3]2013 წლის აპრილის და დეკემბრის თვეში;

[4]ორგანიზაციული კოდი - 2.9.9.;

[5] შესყიდვებს უშუალოდ ახორციელებს მერიის მუნიციპალიტეტის შესყიდვების საქალაქო სამსახური;

[6] აქედან დემონტაჟზე 448,2 ათასი ლარი, მწვანე ნარგავების დამუშავებისა და გატანისათვის 50.7 ათასი ლარი, პირუტყვის გადაყვანა და მოვლა-პატრონობისათვის 81.7 ათასი ლარი და საექსპერტო მომსახურებისათვის 12.0 ათასი ლარი;

[7]ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად;

[8] ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის მე- 4 პუნქტი.

განცხადებების საფუძველზე,[9] შესრულებულია სულ 11.4 ათასი ლარის სადემონტაჟო სამუშაოები[10]. ამასთან, ამ ფიზიკურ პირების მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაწყებულა და საქალაქო სამსახურს სამართალდამრღვევისათვის არ მოუთხოვია გაღებული ხარჯების ანაზღაურება[11]. კანონმდებლობის[12] თანახმად თუ ვერ დგინდება უნებართვო მშენებლობის მწარმოებელი პირი და მიწის ნაკვეთი სახელმწიფო ან/და თვითმართველი ერთეულის საკუთრებაა, უფლებამოსილი ორგანო მითითების გაცემის გარეშე იღებს დადგენილებას უნებართვო მშენებლობის დემონტაჟის შესახებ. სააუდიტო პერიოდში, ასეთ შემთხვევებში დემონტაჟის სახით შესრულებულია 10.3 ათასი ლარის სამუშაოები[13]. სამსახურის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ დემონტაჟის სამუშაოები განხორციელებულია მხოლოდ ინსპექტირების სამსახურის შესაბამისი რაიონული განყოფილებების სპეციალისტების მიერ შედგენილი მოხსენებითი ბარათების და ობიექტის ამსახველი ფოტო მასალის საფუძველზე[14].

უკანონო ნაგებობების დემონტაჟზე გაფორმებული ხელშეკრულებების ხარჯთაღრიცხვა[15] ითვალისწინებს ნარჩენების დატვირთვას ავტომანქანებზე და მის ტრანსპორტირებას ნაგავსაყრელზე ან სათანადოდ შერჩეულ დროებითი დისლოკაციის ადგილზე. ხელშეკრულებებით არ არის განსაზღვული ნაგავსაყრელზე ნარჩენების მიღების(მიტანის) დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა. ამ მოთხოვნის ხელშეკრულებაში გათვალისწინებით და შესაბამისად წარმოდგენით გაკონტროლდებოდა შესრულებული სამუშაოს მოცულობა[16] და თავიდან იქნებოდა აცილებული ქალაქის შესაძლო დანაგვიანება.

შესრულებული სამუშაოებიდან დემონტაჟის შედეგად მიღებული 453.3 კუბ/მ ნარჩენების დატვირთვისა და ნაგავსაყრელზე ტრანსპორტირებისათვის გახარჯულია სულ 19.8 ათასი ლარი. 1კუბ/მ-ის გატანის ღირებულებამ საშუალოდ შეადგინა 43.7 ლარი.

თვითნებურად გაჩეხილი მწვანე ნარგავების დამუშავებისა და გატანის მომსახურების შესყიდვაზე ქ. თბილისის მერიასა და შპს,,გამწვანება-94“-ს შორის 2013 წლის 19 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების[17] შესაბამისად 2013 წლის 19 თებერვლიდან 2014 წლის 1 იანვრამდე პერიოდში შპს ,,გამწვანება-94“ -ის მიერ დამუშავებულია და გატანილია 48.7 $მ^3$ თვითნებურად გაჩეხილი მწვანე ნარგავი[18]. ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 იანვრამდე პერიოდში მერიის საწყობში სულ ჩაბარებულია უნებართვოდ მოჭრილი 44 $მ^3$ ხის მორი, მათ შორის 2013 წლის 19 თებერვლიდან 2014 წლის 1 იანვრამდე პერიოდში[19] ჩაბარებულია 36.9 $მ^3$ მწვანე ნარგავი. აღნიშნულიდან გამომდინარე დაუდგენელია თუ სად იქნა გატანილი და ჩაბარებული შპს,,გამწვანება-94“ -ის მიერ დამუშავებული 11.8 $მ^3$ მწვანე ნარგავი.

ქ.თბილისის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნისთვის აკრძალური ზონიდან სპეციალურ ადგილზე გადაყვანისა და მოვლა-პატრონობის მომსახურეობაზე 2013 წლის 21 იანვარს ქ. თბილისის მერიასა და შპს,,თბილ-ტურს“ შორის გაფორმებული

---

[9]რასაც კანონმდებლობა საერთოდ არ ითვალისწინებს;

[10]2013 წელს 21 შემთხვევა და 2014 წელს 3 შემთხვევა. 2015 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 ივლისამდე პერიოდში კი ფიზიკური პირების პირადი განცხადებების საფუძველზე სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელებული არ არის;

[11]არც წერილობით და არც სასამართლოს მეშვეობით;

[12],,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტი;

[13] დემონტაჟის დარჩენილ 31.2 ათას ლარზე დოკუმენტები წარმოდგენილი ვერ იქნა;

[14]უკანონო მშენებლობის მწარმოებელი პირის დადგენის მიზნით სხვა დამატებითი სახის ღონისძიებები გატარებული არ არის;

[15]რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს;

[16]ქალაქში არსებულ ნაგავსაყრელზე კერძო პირების მიერ ნარჩენების მიტანა ფასიანია და შესაძლებელია შესაბამისი თანხის გადახდის დამადასტურებელი ცნობის წარმოდგენა;

[17]N2.9.9/30/76;

[18]მომსახურების ღირებულება 877 ლარი;

[19]შპს,,გამწვანება-94“ -ის მიერ.

ხელშეკრულების [20] შესაბამისად 2013 წლის 27 დეკემბერს შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით 5 ცალი მსხვილფეხა პირუტყვის გადაყვანასა და მოვლა-პატრონობაზე შესრულებულია სულ 397 ლარის სამუშაოები. ზარალის ანაზღაურების მიზნით პირუტყვის მეპატრონეებიდან თანხების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი ვერ იქნა.

მკაცრი აღრიცხვის ფორმების მიღება - ჩამოწერა და მათი ინვენტარიზაცია

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების საჯარიმო ქვითრების შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესების აუდიტით დადგენილ იქნა, რომ 2013-2014 წლებში გარე ვაჭრობის წესების დარღვევაზე[21], მწვანე ნარგავების თვითნებურ გაჩეხვაზე[22], მიწების მიტაცებაზე[23], სასამართლოს განსჯად საქმეებზე, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შენახვის წესების დარღვევაზე [24] და მიწების გადათხრაზე [25] შედგენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრების რეგისტრაციის ჟურნალები დამოწმებულია სამსახურის სამართალდარღვევის საქმისწარმოების განყოფილების მთავარი სპეციალისტის მიერ, მაშინ როდესაც ქ. თბილისის მერის 2011 წლის 18 აპრილის[26] და 2012 წლის 22 მაისის[27] ბრძანებების შესაბამისად ჟურნალები დამოწმებული უნდა ყოფილიყო სამსახურის უფროსის მიერ. გარდა აღნიშნულისა, ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში არ გახსნილა ახალი ჟურნალები და კალენდარული წლის დამთავრების შემდგომ სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსის მიერ ჟურნალებში არ გაკეთებულა ჩანაწერი რეგისტრირებული საქმეების საერთო რაოდენობის შესახებ[28].

ქ. თბილისის მერის 2012 წლის 6 ივლისის ბრძანებით[29] დამტკიცებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მასალების(ოქმის) აღრიცხვის ჟურნალები, 2013 – 2014 წლებში არ შეიცავს ბრძანებით განსაზღვრულ ინფორმაციას[30], კერძოდ: დამრღვევის გვარი სახელი, დარღვევის მოკლე შინაარსი და თარიღი, ოქმის შემდგენელის თანამდებობა, საქმის განმხილველი თანამდებობის პირის გვარი სახელი, საქმის განხილვის თარიღი, დადგენილების მოკლე შინაარსი, ინფორმაცია დადგენილების აღსრულებასთან დაკავშირებიოთ, მასალების კანცელარიაში ჩაბარების თარიღი, მიმღების ხელმოწერა და მიღებული დადგენილების სასამართლოში ან/და სააღსრულებლო ბიუროში გადაგზავნის ნომერი და თარიღი.

ჟურნალების ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ ადგილი აქვს ჩანაწერების გადაფხეკვის, ჩასწორებებისა და ადრე გაკეთებული ჩანაწერების განურჩევლობის შემთხვევებს, რაზეც არ არის ჟურნალის მწარმოებელი პასუხისმგებელი საჯარო მოხელის შესაბამისი ჩანაწერი. საუდიტო პერიოდში 53 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საჯარიმო ქვითარი ჩამოწერილია მხოლოდ ქვითრის მიმღების მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ჩამოწერის აქტის შედგენისა და ზოგ შემთხვევებში გაუქმებული დაზიანებული ქვითრების წარმოდგენის გარეშე. მაგალითად 2013 წლის 8 იანვარს მხოლოდ სამსახურის მონიტორინგის განყოფილების მთავარი სპეციალისტის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე - წყლის გუბეში ქვითრების დასველების მოტივით, აღნიშნული

[20] N2.9.9/30/38-2;
[21]სახაზინო კოდი - 300773270;
[22]სახაზინო კოდი - 300773260;
[23]სახაზინო კოდი - 300773245;
[24]სახაზინო კოდი - 300773257;
[25]სახაზინო კოდი - 300773257;
[26]N15;
[27]N14;
[28]ბრძანებების მე - 4 და მე - 6 მუხლები;
[29] N16;
[30] 2012 წლის 6 ივლისის N 16 ბრძანებების შესაბამისად დადგენილ რეკვიზიტებს, დანართიN2, მუხლი მე - 4, პუნქტი მე - 6.

გამოუსადეგარი ოქმების დაბრუნებისა და სათანადო აქტის შედგენის გარეშე, შესაბამისი მარეგულირებელი მოთხოვნების დარღვევით[31] ჩამოწერილია[32] ხუთი ცალი საჯარიმო ქვითარი[33]. საჯარიმო ქვითრების რეგისტრაციის ჟურნალების შესაბამისად 2013 -2014 წლებში ინსპექტირების სამმართველოს თანამშრომლებზე გაცემულია და არ დაბრუნებულა 59 ცალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. აქედან მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავების - 7 ოქმი[34], პირუტყვის მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის[35] - 36 ოქმი, მწვანე ნარგავების დაზიანება, გაჩეხვის[36] - 2 ოქმი და სასამართლოს განსჯადი ოქმები - 14 ცალი.ზემოთ აღნიშნული ქვითრების(ძირითადი ნაწილი) მიმღები თანამშრომლები დღეის მდგომარეობით სამსახურიდან განთავისუფლებულები არიან[37]. მათ დაბრუნებაზე სამსახურის მხრიდან რაიმე სახის ქმედითი ღონისძიებები არ გატარებულა.

2013-2014 წლებში მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების მიღება - გაცემაზე სამსახურის უფროსის ბრძანებით პასუხისმგებელი პირი განსაზღვრული არ ყოფილა[38].

აუდიტის მსვლელობისას, საქალაქო სამსახურის უფროსის 2015 წლის 10 აგვისტოს ბრძანების[39] საფუძველზე ჩატარებულია მკაცრი აღრიცხვის ფორმების ინვენტარიზაცია. სამუშაო ჯგუფის 2015 წლის 14 აგვისტოს შედგენილი ოქმის თანახმად 2011-2015 წლებში შესაბამისი მიღბა-ჩაბარების აქტების საფუძველზე სამსახურს სულ მიღებული აქვს 8,103 ცალი 1,966 ლარის ღირებულების მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტები. ზემოთ აღნიშნულ ოქმში არ არის დაფიქსირებული 2015 წლის 3 ივნისს შედგენილი მიღება - ჩაბარების აქტის შესაბამისად სს ,, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“ - დან მიღებული 100 ცალი 29 ლარის ღირებულების მკაცრი აღრიცხვის ბლანკები[40]. ინვენტარიზაციის შედეგები არ არის გაფორმებული ფინანსთა მინისტრის ბრძანებით[41] დადგენილი ფორმის შესაბამისად.

2011-2014 წლებში მიღებული მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტები ბუღალტრულად მათი ფაქტიური ხარჯვის (გამოყენების) დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე ჩამოწერილია ხარჯებში[42], მაშინ როდესაც “ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის[43] შესაბამისად მკაცრი აღრიცხვის ბლანკები მის გამოყენებამდე ექვემდებარებოდა მატერიალური მარაგების[44] ანგარიშზე აღრიცხვას.

2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 ივლისამდე პერიოდში მკაცრი აღრიცხვის ბლანკების სავალდებულო ინვენტარიზაცია არ განხორციელებულა, რითაც დარღვეულია ,,საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მოთხოვნები[45].

---

[31] დარღვეულია ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებითა და 153 მუხლის 1 - ლი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის , მისი შევსების , ჩაბარების ,წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ქ. თბილისის მერის 2012 წლის 22 მაისის N14 ბრძანებისა და ,,ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N 20-95 დადგენილების მე-5 და მე-7 მუხლების მოთხოვნები;

[32] N000160, N000161, N000163, N000165 და N 000166;

[33] სახაზინო კოდი - 300773257, მიწის გადათხრა;

[34] სახაზინო კოდი 300773245;

[35] სახაზინო კოდი 300773257;

[36] სახაზინო კოდი 300773260;

[37] 8 თანამშრომელი, 39;

[38] დარღვეულია ,,მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი;

[39] N 4-4/26;

[40] სამშენებლო ნარჩენებზე , სახაზინო კოდი 300773257;

[41] „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების თაობაზე“, N449, 31.12.2013., დანართი N10 და N11;

[42] მერიის საფინანსო სამსახურიდან წარმოდგენილი ცნობის შესაბამისად;

[43] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N1321 ბრძანება;

[44] N 1625;

[45] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტი და მე-10 მუხლის მე - 13 პუნქტი.

გარე ვაჭრობის წესების დარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრები 2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 ივლისამდე პერიოდში არ შევსებულა,მაშინ როდესაც სამსახურის ერთერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა [46] გარე ვაჭრობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა და მათ შესრულებაზე კონტროლი.

რეკომენდაცია 1

ჩატარდეს მკაცრი აღრიცხვის ფორმების სრულყოფილი ინვენტარიზაცია და ფაქტობრივად არსებული - ხარჯებში ჩამოწერილი მკაცრი აღრიცხვის ფორმები აღებულ იქნას შემოსავალში.

სამშენებლო სამართალდარღვევები

2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 ივლისამდე პერიოდში, ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევისათვის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ სამშენებლო სამართალდარღვევების საქმეებზე გამოცემულია 964 დადგენილება[47], რის საფუძველზეც კერძო და იურიდიულ პირებზე ჯარიმის სახით დარიცხულია 5,765.0 ათასი ლარი. საფინანსო სამსახურიდან წარმოდგენილი ხაზინის მონაცემებით[48] ამავე პერიოდში ქალაქის ბიუჯეტში ჩარიცხულია 2,414.1 ათასი ლარი[49]. მათ შორის წლების მიხედვით (ათასი ლარი):

დასახელება	**2013 წელი**	**2014 წელი**	**2015 წელი**
მიღებული დადგენილებების რაოდენობა	304	428	232
დარიცხული ჯარიმა	1,761.0	2,617.0	1,387.0
გადახდილია	948.5	968.6	497.0

სამშენებლო სამართალდარღვევების საქმეებზე მიღებული დადგენილებების აუდიტით დადგენილ იქნა, რომ 2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 ივლისამდე პერიოდში, რიგ შემთხვევებში დარიცხული ჯარიმის თანხებზე სააღსრულებლო ფურცლები შედგენილი არ არის და ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს თანხების იძულებით ამოღება - მიქცევის თაობაზე არანაირი რეაგირება არ მოუხდენია. კერძოდ, ამ პერიოდში იძულებით აღსასრულებლად არ იქნა გადაგზავნილი 50 დადგენილება 468.0 ათასი ლარის საჯარიმო თანხების ამოღებაზე. აქედან 2013 წელს იძულებით აღსასრულებლად არ იქნა მიქცეული 31 დადგენილება 224.0 ათასი ლარის ჯარიმის თანხებზე, 2014 წელს 18 დადგენილების აღსრულება 234.0 ათას ლარზე და 2015 წლის 6 თვეში კი 1 დადგენილება 10.0 ათას ლარზე.

საყურადღებოა ის ფაქტი რომ, 2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 ივლისამდე პერიოდში, სამშენებლო სამართალდარღვევების საქმეებზე მიღებული დადგენილებების შესაბამისად, შედგენილია სააღსრულებო ფურცლები და აღსრულების ეროვნულ ბიუროში თანხების იძულებითი წესით ამოღება - მიქცევისათვის გადაგზავნილია 96 დადგენილება 784.0 ათასი ლარის საჯარიმო თანხის ამოღებაზე. აქედან 2013 წელს 45 დადგენილება 349.0 ათას ლარზე, 2014 წელს 19 დადგენილება 161.0 ათას ლარზე და 2015 წლის 6 თვეში 27 დადგენილება 274.0 ათასი ლარის ჯარიმის თანხაზე.

[46]სააუდიტო პერიოდში;
[47] ვერ წარმოადგინეს 6 დადგენილება 31.0 ათას ლარზე;
[48]სახაზინო კოდი 300773263 ;
[49] ჯარიმა, საურავი და სამმაგი ჯარიმა.

,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ საქართველოს კანონის შესაბამისად სამშენებლო სამართალდარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმა დამრღვევმა უნდა გადაიხადოს დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში[50]. დაკისრებული ჯარიმის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში [51] დამრღვევს ერიცხება საურავი დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით. ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი 3 თვის შემდეგ პირები [52] ჯარიმდებიან დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ[53].

ჯარიმის გადაუხდელობის და მისი დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის მიუხედავად, ზემოთ მითითებული ვადების გასვლის შემდეგ, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს სამშენებლო სამართალდამრღვევ პირებზე მთელ რიგ შემთხვევებში არ აქვს დარიცხული საურავები და ასევე საჯარიმო თანხების სამმაგი ოდენობები. კერძოდ, 39 შემთხვევაში არ არის დარიცხული საურავი თანხით 282.0 ათასი ლარის ოდენობით[54], ხოლო 47 შემთხვევაში სამმაგი ოდენობის საჯარიმო თანხები - 1,086.0 ათასი ლარის ოდენობით[55].

„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თვისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიერ სამშენებლო სამართალდარღვევებზე მიღებული დადგენილებები აღსასრულებად მიიქცევა მისი კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან არა უმეტეს 6 თვის ვადაში [56]. საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მიხედვით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი[57] ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს, ასევე მისი ფოსტის მეშვეობით გაგზავნიდან არა უგვიანეს მე - 7 დღისა[58], ხოლო საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“ მიხედვით საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) ძალაში შედის დაუყონებლივ, მისი გამოცხადებისთანავე[59].

2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 ივლისამდე პერიოდში, ზემოთ მითითებული 6 - თვიანი ვადის გასვლის შემდეგ[60], აღსრულების ეროვნულ ბიუროში თანხების იძულებითი წესით ამოღება - მიქცევისათვის გადაგზავნილია სამშენებლო სამართალდარღვევებზე მიღებული 50 დადგენილება თანხით - 427.0 ათასი ლარი.

აუდირებულ პერიოდში, ზედამხედველობის სამსახურის სამშენებლო სამართალდარღვევებზე მიღებული დადგენილებებიდან, თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის იურიდიულ სამსახურში გასაჩივრებულ 14 დადგენილებაზე [61] გამოცემული განკარგულებები [62] ჩაბარდა თუ არა სამართალდარღვევებს გაურკვეველია და სამსახურსაც არ ჩაუტარებია შესაბამისი სამუშაოები მათ დასადგენად.

---

[50] თუ არ გასაჩივრდება;
[51] 30 დღის გასვლის შემდეგ;
[52] სამშენებლო საქმიანობაში მონაწილე სუბიექტები;
[53] 26-ე მუხლის 1 - ლი,მე-2, მე - 3 და მე-4 პუნქტები;
[54] წლების მიხედვით: 2013-31-224.0 ათასი ლარი, 2014 - 7-48.0 ათასი ლარი, 2015-1-10.0 ათასი ლარი
[55] ჯარიმა - 362.0*3=1,086 ათასი ლარი, ერთმაგი ჯარიმა 2013-28-210,0 ათასი ლარი, 2014-20-142.0 ათასი ლარი, 2015-1-10.0 ათასი ლარი;
[56] 25-ე მუხლის მე - 9 და მე - 16 პუნქტი;
[57] მიღებული დადგენილება;
[58] 54-ე მუხლი;
[59] 264-ე მუხლის მესამე პუნქტი;
[60] დარღვეულია 6 თვიანი ვადები;
[61] 116.0 ათას ლარზე;
[62] არ დაკმაყოფილდა სარჩელი.

„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებით [63], 2013 – 2014 წლებში ამნისტირებულია 160 [64] სუბიექტი [65], რომლებიც გათავისუფლდნენ ჯარიმის/საურავის თანხის ან/და მისი გადაუხდელი ნაწილის გადახდის ვალდებულებისაგან, ასევე თანხის გადახდისგან გათავისუფლდნენ ის პირები ვისაც დაკისრებული ჰქონდათ სამმაგი ოდენობის ჯარიმები, მათ შორის:

სანქციის(დარიცხვის) სახე	რაოდენობა	თანხა (ათასი ლარი)
სამმაგი ჯარიმა	110	1,545.0
საურავი	25	201.0
ჯარიმა	40	221.0

ზემოთ მითითებული კანონის [66] შესაბამისად სამართალდამრღვევ სუბიექტებს ჩამოეწერათ სამმაგი ოდენობის ჯარიმები. სამშენებლო სამართალდარღვევების გამოსასწორებლად მათ განესაზღვრათ ახალი 6 - თვიანი ვადა, რომლის ათვლა დაიწყო ამ მუხლის ამოქმედების დღიდან[67]. სამშენებლო სამართალდარღვევის გამოუსწორებლობის შემთხვევაში ამ კოდექსის [68] შესაბამისად ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს კვლავ ჰქონდა უფლება დაერიცხა სამმაგი ოდენობის ჯარიმა სამართალდამრღვევი სუბიექტისათვის. აუდიტით დადგინდა, რომ 54 სამართალდამრღვევ სუბიექტს [69] არ აქვს სამშენებლო სამართალდარღვევა გამოსწორებული და მათზე არ არის დარიცხული სამმაგი ოდენობის ჯარიმა - 816.0 ათასი ლარი, მაშინ როდესაც ამნისტირებულ 6 სამართალდამრღვევ სუბიექტს[70] ზედამხედველობის სამსახურმა კვლავ დაარიცხა სამმაგი ოდენობის ჯარიმა.

რეკომენდაცია 2

ცალკეულ სამართალდარღვევთან დაკავშირებით მიზანშეწონილია შეიქმნას ელექტრონული ინფორმაცია (ბაზები), ასევე განისაზღვროს კონტროლის მექანიზმები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება საურავის და ჯარიმის კანონმდებლობით დადგენილ ვადებში დარიცხვა.

განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში განსაზღვრული ზონები

„ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ [71] და „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ [72] საქართველოს კანონების საფუძველზე ქ. თბილისის მთავრობის და საკრებულოს დადგენილებით განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში[73] განსაზღვრულ ზონებში სამშენებლო სამუშაოების ან მშენებლობის ეტაპის მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობისათვის და ამავე ზონაში(ზონებში)

[63] N798 – IIს, 15.07.2013., კანონს დაემატა 103[1] მუხლი - „დარღვევით განხორციელებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღების დროებითი წესი“;
[64]ვერ წარმოადგივეს 3 დადგენილება 24.0 ათას ლარზე;
[65] 1,967.0 ათასი ლარი;
[66] 103[1] მუხლის მე - 5 პუნქტი;
[67] 16 ივლისი 2013 წელი;
[68] 26-ე მუხლის მე-4;
[69]თანხით - 795. 0 ათასი ლარი;
[70]თანხით - 96.0 ათასი ლარი;
[71]23[1] -ედა 23[2]-ე მუხლები;
[72] 46-ედა 47-ემუხლები;
[73] დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 4 ივნისის N347 ბრძანებით.

არაფუნქციონირებადი/მიტოვებული შენობა - ნაგებობის განვითარების მიზნით მშენებლობის ნებართვის დადგენილ ვადაში [74] აუღებლობისათვის განსაზღვრულია საჯარიმო სანქციების ოდენობები. კერძოდ, სამშენებლო სამუშაოების ან მშენებლობის ეტაპის მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის ზომად განსაზღვრულია ჯარიმა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შემოწმების აქტის დღისათვის არსებული სამშენებლო პროექტით გათვალისწინებული ასაშენებელი (სადემონტაჟო) შენობა - ნაგებობების საერთო ფართობის თითოეულ კვადრატულ მეტრზე - 0,5 [75] ლარის ოდენობით [76] , ხოლო არაფუნქციორებადი/მიტოვებული შენობა - ნაგებობების განვითარების მიზნით მშენებლობის ნებართვის დადგენილ ვადაში აუღებლობისათვის [77], პასუხისმგებლობის ზომად განსაზღვრულია ჯარიმა შემოწმების აქტის შედგენის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, არსებული შენობა - ნაგებობის საერთო ფართობის თითოეულ კვადრატულ მეტრზე 0,5 ლარის ოდენობით[78].

ზემოაღნიშნული კანონების თანახმად:

- მშენებლობის ვადების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევი წერილობით ატყობინებს ზედამხედველობის ორგანოს დარღვევის გამოსწორების შესახებ და ჯარიმის დარიცხვა წყდება წერილის ჩაბარების დღეს, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დარღვევის გამოსწორება ამ ორგანომ შემოწმების აქტით დაადასტურა. ამ პროცედურების გავლის შემდეგ ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას დარიცხული ჯარიმის ოდენობის შესახებ, აღსრულდება ამ კოდექსის შესაბამისად და ექვემდებარება იძულებით აღსრულებას „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- მშენებლობის ნებართვის 6 თვეში აუღებლობის შემთხვევაში, ჯარიმის დარიცხვა წყდება დამრღვევის მიერ მშენებლობის ნებართვის აღების დღეს, მაგრამ არაუგვიანეს მითითების გაცემიდან 6 თვისა. ზედამხედველობის ორგანოს მიერ დარღვევის გამოსწორების დადასტურებიდან ან შემოწმების აქტის შედგენიდან 6 თვის გასვლის შემდეგ ზედამხედველი ორგანო იღებს დადგენილებას დასარიცხი ჯარიმის ოდენობის შესახებ, რაც აღსრულდება ამ კანონის შესაბამისად და ექვემდებარება იძულებით აღსრულებას „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- თუ შემოწმების აქტის შედგენიდან 6 თვის გასვლის შემდეგ დამრღვევს არ ექნება მიღებული მშენებლობის ნებართვა ან/და იგი არ გადაიხდის დაკისრებულ ჯარიმას, შესაბამისი თვითმართველი ერთეულის ულებამოსილი ორგანო უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება ამ ქონების იძულებით რეალიზაციის შესახებ. აღნიშნული დადგენილება აღსრულებას ექვემდებარება დაუყონებლივ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად ზემოთ აღნიშნული ნორმის დარღვევისათვის 2011 – 2015 წლებში სულ დაჯარიმებულია სამი სუბიექტი, რაც წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

---

[74] შენობა - ნაგებობაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციიდან ან/და შენობა - ნაგებობის ფუნქციონირების შეწყვეტიდან 6 თვის განმავლობაში;

[75] 2012 წლის 27 დეკემბრამდე 1 ლარის ოდენობით;

[76] ქ. თბილისის მთავრობის დადგენილება N23.06.942, 24.08.2011., და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N20 – 98, 30.12.2014.;

[77]ეს ვალდებულება ასევე ვრცელდება იმ შემთხვევაზე, თუ პირი შეიძენს მიწის ნაკვეთს , რომელზეც მდგომ შენობა - ნაგებობასაც დაანგრევს. აღნიშნული შეზღუდვა ადგილობრივი თვითმართველობის შესაბამისი ორგანოს მოთხოვნით რეგისტრირდება საჯარო რეესტრში;

[78]2014 წლის 30 დეკემბრამდე ქ. თბილისის მთავრობის დადგენილება N06.01.152, 28.02.2012., ხოლო აღნიშნული თარიღიდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N20 – 99.

N	დამრღვევის დასახელება	ობიექტის დასახელება	ობიექტის მისამართი	დარღვევის სახე	მუხლი	ჯარიმა ყოველ ვადაგადაცილ ებულ დღეზე	აქტის თარიღი
1	შპს "ჯი-ემ-თი უძრავი ქონება"	მრავალფუნქციური კომპლექსი	რუსთაველის გამზირი N7	ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში დაუსრულებელ სამუშაოებზე	23[1]	43,211	24.10.2011
2	შპს "სიტიემ"	მრავალფუნქციური შენობა	გუდიაშვილის ქ. N3	ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში დაუსრულებელ სამუშაოებზე	23[1]	14,484	09.11.2011
3	შპს " თავისუფლების მოედანი N7, შპს " აი ტი აი კორპორაცია"	ფართის ნაწილობრივი დემონტაჟი	თავისუფლების მოედანი N7	ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში დაუსრულებელ სამუშაოებზე	23[1]	12,531	21.10.2011

სამივე სუბიექტს წერილობით ზედამხედველობის სამსახურისათვის დღემდე არ მიუმართავს დარღვევების გამოსწორების შესახებ.

სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით ზემოთ აღნიშნული სამი სუბიექტის დაჯარიმების გარდა სხვა ორგანიზაციებზე აღნიშნული ნორმები არ გავრცელებულა, მაშინ როდესაც ადგილზე არსებული დოკუმენტების შემოწმება - ანალიზით და განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში განსაზღვრული ზონების დათვალიერებით დადგინდა არაერთი ობიექტი, სადაც უნდა გავრცელებულიყო საჯარიმო სანქციები, კერძოდ:

- მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე რესტორან „არაგვისა“ და თამარ მეფის ხიდს შორის - შპს „ ინტერნეიშენალ ისთეით ინვესტმენტს - საქართველო“ - ს უნდა აეშენებინა მრავალფუნქციური კომპლექსი(სასტუმრო, სავაჭრო, საოფისე და საცხოვრებელი). აღნიშნულ ობიექტზე მშენებლობის ნებართვა [79] აღებულია 2008 წლის 10 ივნისს, რომლის მიხედვითაც მშენებლობა უნდა დაწყებულიყო 2008 წლის 17 ივნისს და დასრულებულიყო 2011 წლის 17 ივნისს. დასრულების ვადა შპს „ლოიალ ისთიეთი“ - ს [80] განცხადების [81] საფუძველზე გაგრძელდა 2014 წლის 18 ივნისამდე. დღეის მდგომარეობით მითითებულ მისამართზე მხოლოდ ქვაბულია ამოღებული. მრავალფუნქციური კომპლექსის საერთო სამშენებლო ფართი 127,824 მ^2 შეადგენს ;

[79] ნ/792 – 1;
[80] შპს „ ინტერნეიშენალ ისთეით ინვესტმენტს - საქართველო“ - ს შეეცვალა სახელი;
[81] N12/66611 – 13, 3.06.2011.

- ძველი თბილისის რაიონში(სექტორი მთაწმინდა), კოსტავას ქ. N59, კოსტავას ქ. N59 - სა და კოსტავას ქ. N41 - ს შორის, კოსტავას ქ. N41/ბოცვაძის(ყოფ. ადლერი) N2 - არსებული მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობის(ჩაი ქართული) [82] რეკონსტრუქცია და ნაწილობრივი დემონტაჟი უნდა განეხორციელებინა შპს „ჯორჯიან ფროპერთის“. დემონტაჟი უნდა განხორციელებულიყო 2007 წლის 17 ოქტომბრიდან 2008 წლის აპრილამდე, ხოლო შენობის რეკონსტრუქციის სამუშაოები 2011 წლის 28 ივლისიდან 2013 წლის 28 ივლისამდე პერიოდში. თბილისის არქიტექტურის სამსახურის ბრძანების[83] თანახმად მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი ექსპლუატაციაში უნდა მიღებულიყო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, რაც დღემდე არ განხორციელებულა;
- მთაწმინდა - კრწანისის რაიონში , საქანელას ქ. N18 - ში მიწის ნაკვეთებზე არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟზე ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემულია სამი მშენებლობის სანებართვო მოწმობა[84]. შენობების დემონტაჟი უნდა დასრულებულიყო 2008 წლის 10 ივლისს. დღემდე აღნიშნული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შპს „ ცენტრ პლაზას“ მშენებლობის ნებართვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურიდან არ მიუღია. გარდა აღნიშნულისა გარკვეული შენობების დემონტაჟი ნაწილობრივაა განხორციელებული[85];
- მ. ჯავახიშვილის ქუჩისა და მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მიმდებარედ/მარჯვენა სანაპირო N10, დაღმართი საქანელა N9, ქუჩა სანაპირო N6,(კაფე - ბარი გორაძირი) - მიწის ნაკვეთზე მდებარე სასწრაფო დახმარების ყოფილი პუნქტი დღეის მდგომარეობით არაფუნქციონირებადი/მიტოვებულია. მის მესაკუთრეს სს“ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ მისი დემონტაჟის და მშენებლობის ნებართვა(შუალედური) მოთხოვნილი აქვს 2012 წლის ბოლოს[86]. დღემდე თბილისის არქიტექტურის სამსახურის საიტზე [87] მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებით სხვა დოკუმენტები არ იძებნება;
- ქ. ვირსალაძის(ყოფ. ინჟინერი) N3 მდებარე მრავალ ადგილიანი ავტოსადგომის დემონტაჟს 2012 წლის ოქტომბრის თვეში ითხოვდა მისი მესაკუთრე [88], რაზედაც თბილისის არქიტექტურის სამსახურისგან მიღებული აქვს უარყოფითი პასუხი. მიუხედავად აღნიშნულისა მითითებულ მისამართზე შენობის ნაწილობრივი დემონტაჟი ნებართვის გარეშე მაინც განხორციელებულია[89]. დღეის მდგომარეობით ავტოსადგომი არაფუნქციონირებადი/მიტოვებულია. თბილისის არქიტექტურის სამსახურის საიტზე(ვებგვერდზე) [90] მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებით სხვა დოკუმენტები არ იძებნება;
- მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე სანაპირო ქ. N8 მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა არაფუნქციონირებადი/მიტოვებულია(ძველი ავტოსადგური) [91] . თბილისის არქიტექტურის სამსახურის საიტზე(ვებგვერდზე) [92] მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებით რაიმე დოკუმენტები არ იძებნება;
- მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე სანაპირო ქ. N4 და N6 მიწის ნაკვეთებზე ყოფილი შენობები დანგრეულია(დემონტაჟია განხორციელებული). ორივე შემთხვევაში თბილისის

[82] ყოფილი სოფლის მეურნეობის და კვების სამინისტრო, „ჩაი ქართული“;
[83] ნ/1950 – 1 , 15.07.2011;
[84] ნ/401-1, 14.05.2007.; ნ/402/-1, 14.05.2007.; ნ/353-1, 04.04.2008.;
[85] რაც სანებართვო მოწმობის თანახმად უნდა დანგრეულიყო;
[86] ოქტომბერ - დეკემბერი;
[87] Tas.ge;
[88] მფლობელი - შპს „ახალი მშრალი ხიდი“;
[89] ზედამხედველობის სამსახურს რეაგირება არ მოუხდენია;
[90] Tas.ge
[91] 2007 წლის 31 ივლისიდან 2015 წლის 14 მაისამდე შპს „ავიასაწვავსერვისის“ საკუთრებაში იყო, ხოლო აღნიშნული თარიღიდან შპს „რივერსაიდ ინვესტის“, ძველი ავტოსადგური;
[92] Tas.ge.

არქიტექტურის სამსახურის საიტზე(ვებგვერდზე)[93] მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებით რაიმე დოკუმენტები არ იძებნება.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა სამსახურში არ არის დაწესებული კონტროლი განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში განსაზღვრულ ზონებში ობიექტების ექსპლუატაციაში მიღებაზე. კერძოდ აუდიტით დადგენილია არაერთი ფაქტი, როდესაც გასულია მშენებლობის დასრულების ვადები და დღემდე ობიექტები ექსპლუატაციაში მიღებული არ არის და არც სამსახურს აქვს გატარებული კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

მწვანე ნარგავების უკანონო ჭრის და დაზიანების შედეგად გარემოსათვის მიყენებული ზიანის დაანგარიშება

ქ. თბილისის თვითმართველი ერთეულისათვის მწვანე ნარგავების უკანონო ჭრის და დაზიანების შედეგად მიყენებული ზიანის ოდენობის დადგენას 2015 წლის მარტამდე, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიმართვის საფუძველზე აწარმოებდა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური . ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურს ზიანების დათვლა შეწყვეტილი აქვს იმ მოტივით[94], რომ გარემოსათვის მიყენებული ზიანის დაანგარიშება, თბილისის მერიის სხვა სამსახურის მიერ დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებაზე არ განეკუთვნებოდა მათ ვალდებულებას, მათ კომპეტენციაში შედიოდა მწვანე ნარგავების მოჭრის ნებართვის გაცემისათვის დადგენილი ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების საკომპენსაციო შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

თბილისის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურს, საკითხის სამართლებრივად დაზუსტების მიზნით, იმ დროისათვის ძალაში იყო თუ არა ქ. თბილისის მთავრობის 2014 წლის 5 მარტის[95] დადგენილება და ამ დადგენილებით ის ვალდებული იყო თუ არა ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიმართვის საფუძველზე განეხორციელებინა ზიანის ოდენობის დაანგარიშება - წერილობით[96] მიმართული აქვს თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიული საქალაქო სამსახურისთვის. ,,რამდენადაც იურიდიულ სამსახურს არ გააჩნდა ქალაქ თბილისის მთავრობის ინდივიდუალური აქტების ელექტრონული ბაზა, შეუძლებლად ჩათვალა ზუსტად განესაზღვრა იყო თუ არა ზემოაღნიშნული დადგენილება ძალაში[97]“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვიდრე ქ. თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებით არ იქნებოდა დარეგულირებული აღნიშნული საკითხი, ნარგავების უნებართვო განადგურების ან დაზიანების შემთხვევებისას, ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური უარს აცხადებდა გარემოსათვის მიყენებული ზიანის დაანგარიშებაზე.

2014 წლის აგვისტოს თვიდან 2015 წლის მარტამდე პერიოდში, ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისთვის მიწერილ წერილებში, ზიანების დაანგარიშებისას საფუძვლად მოყვანილია „ ქ. თბილისის საზღვრებში და მიდინარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის[98] მე - 2 თავის ის მუხლები[99], რაც ძალაში იყო მთელ აუდირებულ პერიოდში.

2015 წლის მარტიდან 2015 წლის 18 აგვისტომდე გარემოსათვის მიყენებული ზიანის ოდენობის დადგენას ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური აღარ ახდენდა.

---

[93] Tas.ge;
[94] ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის წერილი N10-16/151101455, 13.05.2015.;
[95] N07.08.249;
[96] N10-25/1511264, 22.04.2015.;
[97] ქ. თბილისის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის წერილი N10-25/15112864, 06.05.2015.;
[98] N594 – Iს, 10.11.2000.;
[99] მე- 5; 6; 7.

ზედამხედველობის სამსახურის დებულების თანახმად სამსახური უფლებამოსილი იყო საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში მოეწვია შესაბამისი ორგანოს სპეციალისტები, ან დამოუკიდებელი ექსპერტები და სპეციალისტები"[100], რაც აღნიშნულ პერიოდში სამსახურს არ გამოუყენებია.

2015 წლის 19 აგვისტოს ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურმა განაახლა ზიანის ოდენობის დაანგარიშება. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2015 წლის 17 სექტემბერს [101] ცვლილება შეტანილია ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის დებულებაში, რომლის მიხედვითაც ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის ერთერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს [102] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 151[1] მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად დაზიანებული მწვანე ნარგავების ზიანის ოდენობის დადგენა.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ის საველე აქტები [103] რომლებზეც ზიანები არ იყო დაანგარიშებული, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა გადაუგზავნა [104] ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურს, საიდანაც მიღებული [105] ინფორმაციის შესაბამისად, შესაძლო დანაშაულის შემცველი მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაგზავნილია შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში, ხოლო 22 საველე აქტზე დღემდე ზიანი დათვლილი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციით, 2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 ივლისამდე პერიოდში უკანონოდ მოჭრილი და დაზიანებული ხე - მცენარეების(ბუჩქნარების) რაოდენობა 3,088 ერთეულს შეადგენს, მათ შორის 4 სანტიმეტრამდე დიამეტრის 620 ერთეული ამონაყარი და 402 ბუჩქი. წლების მიხედვით 2013 წელს - 390 ერთეული, 2014 წელს 2,318[106] და 2015 წლის ექვს თვეში 380 ერთეული. აღნიშნული ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ოდენობა 770.4 ათას ლარს შეადგენს[107], მათ შორის სადაც დადგენილია სამართალდამრღვევების ვინაობა ზიანი - 400.1 ათას ლარს შეადგენს[108], ხოლო სადაც დაუდგენელია ზიანის ჩამდენი პირი - 370.3 ათას ლარს.

ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე სახელმწიფო ან ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავებისა ან/და მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობა

აუდირებულ პერიოდში, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55[5]-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით შედგენილია 11 სამართალდარღვევის ოქმი, მათ შორის 2013 წელს - 8, ხოლო 2014 წელს - 3 ოქმი. ხუთ შემთხვევაში სამართალდამრღვევ სუბიექტს ადმინისტრაციული სახდელი 10.0 ათასი ლარის ოდენობით ასეთი ქმედებისათვის კანონმდებლობით დადგენილი ორთვიანი ვადის გასვლის შემდგომ განესაზღვრათ[109].

აღნიშნულ დარღვევებზე შედგენილი 11 ოქმიდან ორი ოქმი ქალაქ თბილისის

[100] მუხლი N3, ი პუნქტი;
[101] დადგენილება N23 – 94;
[102] მუხლი N2, პუნქტი N2, ქვეპუნქტი ა[1];
[103] 2015 წლის იანვრიდან 2015 წლის 18 აგვისტომდე პერიოდში შედგენილი 45 საველე აქტი;
[104] მათ შორის უმეტესობა ხელმეორედ;
[105] 23 საველე აქტზე პასუხი გადმოგზავნილია, საიდანაც 22 გადაიგზავნა შსს - ში(1,000 ლარზე ზევით) და ერთ სამართალდამრღვევს დაევალა ზიანის ანაზღაურება(384 ლარი);
[106] 620 - ამონაყარი და 402 ბუჩქი;
[107] 2013 წელს - 39,840 ლარი, 2014 წელს 547,740 ლარი და 2015 წლის 1 ივლისამდე პერიოდში 182,772 ლარი;
[108] აღნიშნულ თანხაში შედის 161,520 ლარის ზიანი რაც თბილისს მიადგა(მუხათგვერდის ტყე), მცხეთა - მთიანეთის სატყეოს მიერ არასწორად გაცემული ნებართვის(ტყეკაფი) გამო;
[109] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38 -ე მუხლი.

მუნიციპალიტეტის მერიაში გასაჩივრდა. ერთი ოქმი ბათილად იქნა ცნობილი, ხოლო მეორე 2013 წლის 28 აპრილიდან დღემდე განუხილველია[110]. 4 ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ინფორმაცია ან დოკუმენტი ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი. ჯარიმის გადახდის იძულებით აღსრულების მიზნით სააღსრულებო ფურცელი და საურავის დარიცხვის შესახებ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი სამსახურში არ შეუდგენიათ[111], რის გამოც, საერთო ჯამში 8.0 ათასი ლარის ოდენობით ჯარიმის თბილისის თვითმმართველობის ბიუჯეტში მიქცევა ამჟამად შეუძლებელია[112]. აღსანიშნავია, რომ 8.0 ათასი ლარი ოდენობით საურავის დარიცხვისა და ამოღების უზრუნველსაყოფად კანონმდებლობის მოთხოვნები სამსახურს დღემდე არ შეუსრულებია.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55[5]-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება დენადი სამართლდარღვევაა და მისი განმეორებით ჩადენა სახეზე მხოლოდ მაშინ არის თუ პირველი დარღვევის შემდეგ იგი აღმოიფხვრა და სუბიექტმა სახდელის დადების შემდეგ იგივე ქმედება იმავე ან თუნდაც სხვა ტერიტორიაზე სახდელის დადებიდან ერთი წლის პერიოდში ჩაიდინა. 2013 წლის 7 მაისს, სამსახურმა შ.პ.ს. „რიწა“-ს მიერ სოფელ გლდანში[113] თვითმმართველობის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ღობის უნებართვო მშენებლობის ფაქტი დაადგინა, რაზედაც 2013 წლის 12 აგვისტოს შედგა სამართალდარღვევის ოქმი[114]. წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, სამართალდარღვევა არ იყო აღმოფხვრილი და ამის მიუხედავად 2014 წლის 7 თებერვალს მეორე სამართალარღვევის ოქმი[115] იმავე ქმედების განმეორებით ჩადენის ფაქტზე შედგა. კანონმდებლობის მოთხოვნების უგულებელყოფის შედეგად ერთი და იგივე ფაქტზე სამართლებრივი შეფასება ორჯერ გაიცა.

სამართალსუბიექტების ხსენებული დარღვევის ჩადენაში მამხილებელ მტკიცებულებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მათ თვითმმართველობის კუთვნილი მიწის ნაკვეთი უნებართვოდ მასზე ღობის მოწყობით დაიკავეს. ღობე წარმოადგენს მიწის ნაკვეთების გამმიჯნავ კონსტრუქციას, რომელიც შეიძლება მდებარეობდეს, როგორც საკადასტრო საზღვარზე (საზიარო ღობე), ისე მიწის ნაკვეთის საზღვრებში, ხოლო მოქმედი კანონმდებლობით ღობის და ნებისმიერი სხვა კონსტრუქციის მოწყობის საკითხი შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს თანხმობას და ნებართვას საჭიროებს[116]. თბილისის თვითმმართველობის კუთვნილ ტერიტორიაზე ასეთი მშენებლობის უნებართვოდ განხორციელება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს, რაც სახდელად 10.0 ათასი ლარის ოდენობით ჯარიმას ითვალისწინებს[117].

10 შემთხვევაში[118] სამშენებლო სამართალდარღვევის სახეზე არსებობის მიუხედავად, სამსახურის მიერ საქმის წარმოება არ დაწყებულა. იმის გათვალისწინებით, რომ ორი ოქმი ერთი და იგივე სუბიექტის შ.პ.ს."რიწა"-ს მიმართ ერთ დენად სამართალდარღვევის ფაქტზეა შედგენილი, 9 სამართალდამრღვევს, წარმოების შესაბამისად მოსალოდნელი, საერთო ჯამში 90.0 ათასი ლარის ოდენობით ჯარიმა არ განესაზღვრათ, ხოლო კანომდებლობით გათვალისწინებული სახდელის დადების ვადის გასვლის გამო დამრღვევთა მიმართ კანონშესაბამისი გადაწყვეტილების მიღება ამჟამად შეუძლებელია[119].

---

[110] ადმინისტრაციული სამართლებრივ აქტს მერის მოადგილე გამოსცემს;
[111] ადმინისტრაციულს სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლი;
[112] ადმინისტრაციულს სამართალდარღვევათა კოდექსის 287-ე მუხლი;
[113] ნაკვეთი N 72.13.34.290-ის მიმდებარედ;
[114] N 000014;
[115] N 000015;
[116] მთავრობის დადგენილება N 57 „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ 30-ე ,65-ე და 66-ე მუხლები;
[117] „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 44-ე მუხლით;
[118] ერთი ოქმი ბათილად იქნა ცნობილი;
[119] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლი.

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა აღნიშნული ღობეების დემონტაჟთან დაკავშირებით რაც მოქმედი კანონმდებლობით უნდა განხორციელებულიყო, მტკიცებულებები ვერ წარმოადგინა. შესაბამისად მის დემონტაჟზე გახარჯულ თანხებზე მსჯელობა შეუძლებელია.
ზემოთ აღმიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით:

N	სამართალდარღვევის ოქმის ნომერი და თარიღი	დარღვევის დადგენის თარიღი	სამართალდამრღვევი	საჩ. უარყ. პასუხ. თარიღი	საჩივ. შედ. ჩაბ. თარიღი	ჯარიმის გადახდის ვადა	ჯარიმის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა	სააღ. გაგზავნის თარიღი	საურავის ვალდ. წარმოშობის თარიღი და საურაის ოდენობა	საურავის დად. მიღების თარიღი	55[5]-ე მუხ. ჯარიმა	პროდ უქ.კოდ. 44-ე მუხ ჯარიმა
1	000003 22.01.2013	25.12.2012	ქეთევან გიორგობიანი			22.02.2013	22.07.2013		22.02.2013 2000 ლ		2000ლ	10 000 ლ
2	000004 12.02.2013	09.01.2013	ნინო მეტრეველი			15.03.2013	12.08.2013		15.03.2013 2000 ლ		2000ლ	10 000 ლ
3	000005 21.03.2013	25.12.2012	ზურაბ ხუციშვილი	01.07.2013	გასულია სახდელის დადების ვადა						2000ლ	10 000 ლ
4	000006 21.03.2013	25.12.2012	ნოე კობიძე		გასულია სახდელის დადების ვადა						2000ლ	10 000 ლ
5	000007 21.03.2013	25.12.2012	ნინო ხატიაშვილი	24.07.2013	გასულია სახდელის დადების ვადა						2000ლ	10 000 ლ
6	000008 26.04.2013	25.03.2013	ბარამ თალაკვაძე	28.04.2013 გასაჩივრდა	განუხილველია							10 000 ლ
7	000014 12.08.2013	07.05.2013	შ.პ.ს. რიწა		გასულია სახდელის დადების ვადა						2000ლ	10 000 ლ
8	000015 07.02.2014	07.05.2013	შ.პ.ს. რიწა		გასულია სახდელის დადების ვადა						3500ლ ოქმი 000014 ოქმით გამოვლენილ ფაქტზე შედგენილი	კვალიფიკაცია არ არის სწორი
9	000016 14.03.2014	07.03.2014	ზაურ ხაჩიძე	20.05.2014		19.06.2014	20.11.2014		19.06.2014 2000 ლ		2000ლ	10 000ლ
10	000017 09.07.2014	24.06.2014	თინა ნაჭყებია			11.08.2014	09.01.2015		11.08.2014 2000 ლ		2000ლ	10 000ლ
									8 000 ლ		8 000 ლ	90 000 ლ

ქ. თბილისის თვითმმართველი ქალაქის კუთვნილ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნა

ქ. თბილისის თვითმმართველი ქალაქის კუთვნილ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტებზე [120] 2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 ივლისამდე პერიოდში ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შედგენილია 42 ოქმი. 2013 წელს-36, 2014 წელს-4, ხოლო 2015 წლის 6 თვეში მხოლოდ -2. აღნიშნული სამართალდარღვევის ჩადენისათვის დადგენილი სანქციის 20 ლარის სიმცირის მიუხედავად უნდა აღინიშნოს, რომ 15 შემთხვევაში სამართალდამრღვევ პირებს ჯარიმა კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გადაუხდიათ და სამსახურს იძულებით აღსრულების უზრუნველსაყოფად არანაირი ქმედება არ განუხორციელებია, შედეგად თბილისის თვითმმართველობის ბიუჯეტის სასარგებლოდ 300 ლარის მიქცევა შეუძლებელია. ამასთან, არც საურავის დარიცხვის და მისი აღსრულების მიზნით არის შესრულებული კანონმდებლობის მოთხოვნები.

თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯება

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლით დასჯადია თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯება, რომლის მაკვალიფიცირებელი გარემოებაა ქმედების „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონაში ჩადენა და ადმინისტრაციულ სახდელად განსაზღვრულია ჯარიმა 1,000 ლარი, ხოლო სხვა ტერიტორიაზე ასეთი ქმედების ჩადენისთვის -ჯარიმა 50 ლარი[121].

აუდიტის მიმდინარეობისას თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯების ფაქტებთან დაკავშირებით შესწავლილი 40 სამართალდარღვევის ოქმის ანალიზით დადგინდა, რომ ზედამხედველობის საქალაქო სამსახური ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას სრულყოფილად არ სწავლობს ფაქტობრივ გარემოებებს და იმის დადგენას ქმედება ჩადენილია თუ არა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონაში სათანადო ყურადღება არ ექცევა. შედეგად, ამ მუხლით გათვალისწილებულ დარღვევაზე შედგენილი რვა სამართალდარღვევის ოქმი სახდელის დადების მიზნით სასამართლოში მართებული კვალიფიკაციით არ გაიგზავნა, რამაც ამ ფაქტორის გათვალისწინებით სასამართლოს მიერ დადგენილ და სავარაუდოდ დასადგენ სახდელის სახესა და ოდენობებს შორის საერთო ჯამში 8.0 ათასი ლარის სხვაობა განაპირობა.

მწვანე ნარგავების უკანონო გაჩეხვის, დაზიანების, გადატანის და მოვლა პატრონობის წესების დარღვევა

მწვანე ნარგავების უკანონო გაჩეხვის, დაზიანების, გადატანის და მოვლა პატრონობის წესების დარღვევის ფაქტებზე [122] აუდირებულ პერიოდში ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ შედგენილია 180 სამართალდარღვევის ოქმი. 2013 წელს-76, 2014 წელს-89 და 2015 წლის 6 თვეში-15. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ 29 შემთხვევაში სამართალდამრღვევი პირების მიერ კანონით დადგენილ 30 დღიან ვადაში[123] ადმინისტრაციულ სახდელად განსაზღვრული ჯარიმები საერთო თანხით 13.0 ათასი ლარი გადახდილი არ არის და არც იძულებით

[120] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლი;
[121] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილი;
[122] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 151[1]-ე მუხლი;
[123] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლი.

აღსასრულებლადაა მიქცეული. ამასთან, ხსენებულ შემთხვევებში დამრღვევი პირების მიმართ არ იყო საურავი დარიცხული და სამსახურმა აუდიტის მსვლელობისას საურავები მხოლოდ 2014-2015 წლებში დადგენილ სამართალდამრღვევებს დაარიცხა. ასევე 3 შემთვევაში[124] ხსენებული ვადის დარღვევით ჯარიმის გადახდის ფაქტებთან დაკავშირებით სამსახურს კანონმდებლობის აღნიშნული მოთხოვნა არ შეუსრულებია.

ზემოხსენებულ სამართალდარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით შედგენილი დოკუმენტაციის ანალიზმა ცხადყო, რომ 3 შემთხვევაში მწვანე ნარგავების განადგურების ფაქტის ჩადენის შემდეგ სამართალდარღვევის ოქმის შედგენის პერიოდისთვის სახდელის დადების ორთვიანი ვადა გასულია[125]. ორ შემთხვევაში 2013 წელს[126] და 2015 წელს[127] ოქმები ქმედების ჩადენიდან და ამ დარღვევის გამოვლენიდან სახდელის დადების ვადის გასვლის შემდგომაა შედგენილი, ხოლო 2014 წელს[128] ოქმის შედგენის შემდეგაა დადგენილი, რომ მწვანე ნარგავების გაჩეხვის ფაქტს მისი გამოვლენიდან 4 თვითა და 19 დღით ადრე ჰქონდა ადგილი. აღნიშნულის მიუხედავად სამსახურს ადმინისტრაციული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი სამართლებრივი გადაწყვეტილებები არ მიუღია[129]. ასეთ სამართალდამრღვევს კი ჯარიმის გადაუხდელობის გამო საურავი დაერიცხა და ჯარიმის იძულებით აღსრულების მიზნით სააღსრულებო ფურცელი აღსრულების ეროვნულ ბიუროშია გადაგზავნილი[130].

N	სამართალდარღვევის ოქმის ნომერი და თარიღი	ქმედების ჩადენის ან გამოვლენის	სამართალდამრღვევი	ჯარიმა და გადახდის თარიღი	სააღსრ. ფურც.შედგენის თარიღი	საურ.დარ დად. მიღების თარიღი	შენიშვნა
1	000110 10.04.2013	გამოვლენა 28.03.2012	ტარიელ წიკლაური	500			ოქმის შედგენამდე გასულია სახდელის დადების ვადა
2	000261 19.09.2014	2014 წლის 30 აპრილი	თამაზ მახარაშვილი	500 20.10.2014			სახდელის დადების ვადის გასვლა დადგინდა ოქმის შედგენის შემდეგ
3	000004 16.02.2015	გამოვლენა 04.12.2014	არჩილ სახვაძე	500	22.06.2015	10.08.2015	ოქმის შედგენამდე გასულია სახდელის დადების ვადა

ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების (ხე-ბუჩქნარის) უკანონო გაჩეხვის (მოჭრის ან ფესვებით ამოღების) ფაქტი, რომელმაც მნიშვნელოვანი, კერძოდ 1,000 ლარზე მეტი ოდენობის ზიანი გამოიწვია[131] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 303-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს წარმოადგენს, შესაბამისად მოქმედი კანონმდებლობა ასეთ ფაქტებზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმისწარმოებას და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობის დადგენას გამორიცხავს[132]. ამასთან, ამ დანაშაულის ჩამდენი პირის მიერ შემდგომში ხსენებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის არა მაკვალიფიცირებელ არამედ დამაძიმებელ გარემოებას წარმოადგენს[133].

[124] 2013 წელს-2, 2014 წელს-1;
[125] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლი;
[126] N 000010;
[127] N 000004;
[128] N 000261;
[129] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილი 232-ე მუხლი;
[130] N 000004 სამრთალდარღვევის ოქმით, 2015 წლის 08 აგვისტოს დადგენილება, 2015 წლის 06 ივნისის სააღსრულებო ფურცელი;
[131] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N 54 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის-„გარემოსათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა“ დამტკიცების შესახებ დანართი N 1-ის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტი;
[132] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 10-ე და 232-ე მუხლი;
[133] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 35-ე მუხლი.

სამსახურის მიერ 2013-2014 წლებში გამოვლენილი მწვანე ნარგავების უკანონოდ გაჩეხვის, დაზიანების და მოვლა პატრონობის წესების დარღვევის ფაქტებზე, რომლებზეც სამართალდამრღვევი დადგინდა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგა 22 შემთხვევიდან კანონმდებლობის მოთხოვნების უგულებელყოფის შედეგად 19 შემთხვევაში საერთო ჯამში 10.5 ათასი ლარის ოდენობის სახდელი დაედოთ და ჯარიმები გადახდილია იმ სუბიექტების მიერ, რომლებზეც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ ვრცელდებოდა, ხოლო არასწორი სამართლებრივი კვალიფიკაციით 3 შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ჩამდენს 500 ლარით[134] მეტი სახდელი განესაზღვრა.

მწვანე ნარგავების დაზიანება-განადგურებაზე სამართალდამცავ ორგანოებში გადაგზავნილი ფაქტებიდან 14 შემთხვევაში არამართლზომიერი ქმედებით გამოწვეული ზიანი 1,000 ლარს აღემატება, მაგრამ სამართალდამრღვევის გაუფრთხილებელი მოქმედების შედეგად დადგა. ეს გარემოება სისხლის სამართლის კოდექსის 303-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების სახეზე არსებობას გამორიცხავს, თუმცა შემდგომი რეაგირების მიზნით სამსახურმა ასეთ ფაქტებზე მტკიცებულებები სამართალდამცავ ორგანოში გადააგზავნა.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის თებერვლიდან სექტემბრამდე პერიოდში გამოვლენილი ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის სამი ფაქტის ამსახველი მტკიცებულებები შემდგომი რეაგირებისათვის სამართალდამცავ ორგანოში დღემდე გადაგზავნილი არ არის.

N	წარმოების დაწყების თარიღი	ზიანის დადგენის თარიღი	დარღვევის ჩადენის ხერხი	ზიანის ოდენობა	სამართალდამრღვევი	მტკიცებულებების სამართალდამცავ ორგანოში გაგზავნის თარიღი
1	13.02.2014	28.02.2014	გაჩეხვა	3 300	დაუდგენელი	არ არის გადაგზავნილი
2	01.04.2014	10.04.2014	გაჩეხვა	1 170	დაუდგენელი	არ არის გადაგზავნილი
3	18.08.2014	27.08.2014	გაჩეხვა	7 566	დაუდგენელი	არ არის გაგზავნილი

მოქმედი კანონმდებლობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევით გამოწვეული ზიანის დადგენის შემდეგ ადმინისტრაციულ ორგანოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე ვალდებული პირის მიმართ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემას და კანონით დადგენილი შემდგომი პროცედურების განხორციელებას ავალდებულებს[135].

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 151^1-ე მუხლით გათვალისწინებული არამართლზომიერი ქმედებების გამოვლენის, სამართალდამრღვევის და ზიანის ოდენობის დადგენის შემდეგ 53 შემთხვევაში სამსახურს თვითმმართველობისთვის მიყენებული 41.2 ათასი ლარის ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად კანონმდებლობის მოთხოვნები არ შეუსრულებია.

სამართალდამცავ ორგანოში გადაგზავნილი მწვანე ნარგავების უკანონოდ გაჩეხვის 28 ფაქტზე, რომლებზეც მტკიცებულებების გადაგზავნამდე ან მას შემდეგ დადგინდა ქმედების ჩამდენი სუბიექტი, სამსახურს ვალდებული პირებისგან საერთო ჯამში 188.7 ათასი ლარის მოთხოვნით სამოქალაქო სარჩელით სასამართლოსთვის არ მიუმართავს[136].

[134] საერთო ჯამში 1,500 ლარი;

[135] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 40^1-ე მუხლი;

[136] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლი, სამოქალაქო კოდექსის 24-ე, 279-ე და 281-ე მუხლები.

აუდირებულ პერიოდში გამოვლენილი ხსენებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 75 ფაქტზე, რომლებზეც დამრღვევი ცნობილია დარღვევით გამოწვეული ზიანი დღემდე დადგენილი არ არის. ზიანის დასადგენად სამსახურმა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურს მხოლოდ აუდიტის მსვლელობისას აუდიტის ჯგუფის მიერ შესაბამისი ინფორმაციის გადასამოწმებლად მტკიცებულებების გამოთხოვის შემდეგ მიმართა.

სამსახურის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნების დროულად შეუსრულებლობის შედეგად თბილისის თვითმმართველობისათვის მიყენებული დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის 3 წლიანი ვადის [137] გასვლის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა შეუძლებელი გახდება.

აღსანიშნავია, რომ სამსახურის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, აუდირებულ პერიოდში, სამართალდამრღვევთა მიერ მწვანე ნარგავების დაზიანებითა თუ განადგურებით, თვითმმართველობისათვის მიყენებული ზიანი მხოლოდ 2014 - 2015 წლებში 7 შემთხვევაში საერთო ჯამში 8.7 ათასი ლარის ოდენობით ანაზღაურდა[138].

ქ. თბილისის ტერიტორიის დაზიანება სამშენებლო ან სარემონტო სამუშაოების წარმოებისას

თბილისის ტერიტორიაზე ეზოების, სკვერების, ქუჩებისა და მოედნების გადათხრაზე ნებართვებს (ასევე მისი ვადების გაგრძელებაზე) - ქონების მართვის სააგენტო გასცემს. ნებართვებში ფიქსირდება სამუშაოთა მწარმოებელი სუბიექტის (ფიზიკური ან იურიდიული პირის) მონაცემები. სანებართვო პირობების დარღვევა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 152[3]-ე მუხლით დასჯად ქმედებას წარმოადგენს. აუდირებულ პერიოდში სამსახურმა ასეთ ფაქტებზე 167 სამართალდარღვევის ოქმი შეადგინა. 2013 წელს - 64, 2014 წელს - 59 და 2015 წლის 6 თვეში - 44. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ 39 შემთხვევაში სამართალდამრღვევი პირების მიერ კანონით დადგენილ 30 დღიან ვადაში ადმინისტრაციულ სახდელად განსაზღვრული ჯარიმები გადახდილი არ არის[139] ან გადახდილია ვადის დარღვევით[140]. ამის მიუხედავად შესაბამის სუბიექტებზე საურავი დარიცხული არ არის, ან ასეთი გადაწყვეტილება ვადის დარღვევითაა მიღებული.

სამსახურის მიერ ჯარიმის იძულებით აღსრულების მიზნით კანონმდებლობის მოთხოვნების შეუსრულებლობის შედეგად ჯარიმად განსაზღვრული თანხის- 37.0 ათასი ლარის თბილისის თვითმმართელი ერთეულის ბიუჯეტის სასარგებლოდ იძულებით მიქცევა ამჟამად შეუძლებელია.

საურავების დარიცხვა სამსახურის მიერ მხოლოდ 2014-2015 წლებში გამოვლენილი სამართალდამრღვევევების მიმართ განხორციელდა, ისიც აუდიტის მსვლელობისას. ჯარიმის გადაუხდელობის 37 შემთხვევაში სამსახურმა სამართალდამრღვევებს საურავი არც შემდგომში დაარიცხა.

ზემოხსენებული ადმინისტრაციული დარღვევის, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონაში ჩადენის შემთხვევაში ჯარიმის ოდენობა ორმაგდება. სამსახური კონკრეტული ფაქტის გამოვლენის შემდეგ ამ გარემოების დადგენის აუცილებლობას უგულებელყოფს და შედეგად აუდირებულ პერიოდში 10 შემთხვევაში სამართალდამრღვევებს ადმინისტრაციულ სახდელად 4,000 ლარის ნაცვლად 2,000 ლარი განესაზღვრათ. სრულყოფილი ინფორმაციის მოპოვების და შესაბამისი ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შემთვევაში თვითმმართველობის ბიუჯეტი დამატებით 20.0 ათას ლარს

[137] სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლი;
[138] 2014 წელს 1 შემთხვევაში-1056 ლარი, 2015 წელს 6 შემთხვევაში-7,606 ლარი:
[139] 22 შემთხვევაში;
[140] 17 შემთხვევაში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლი.

მიიღებდა.

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩამდენი იურიდიული პირის მიმართ კანონმდებლობით სახდელად ჯარიმის გაცილებით დიდ ოდენობაა დაწესებული[141].

2015 წლის 5 იანვარს, ქონების მართვის სააგენტოს მიერ გადათხრით სამუშაოებზე ნებართვა[142] გაცემულია შ.პ.ს. „BEMA[143]“-ზე და ნებართვის მოქმედების ვადა 30 დღით განისაზღვრებოდა. 2015 წლის 17 თებერვალს, დაინტერესებულ პირზე აღნიშნული საზოგადოების დირექტორზე [144] ახალი ნებართვაა[145] გაცემული, რომლითაც წინა ნებართვით განსაზღვრული ვადა 2 თვით გაგრძელდა.

2015 წლის 11 მარტს, პირველი გადაწყვეტილების სანებართვო პირობების დარღვევის ფაქტზე ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემდგარია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი[146] და ფიზიკურ პირს სახდელად ჯარიმა 500 ლარი განესაზღვრა. ოქმი უნდა შემდგარიყო შ.პ.ს.„BEMA-ს მიმართ, რომელსაც ჯარიმად 2,000 ლარი განესაზღვრებოდა.

სამსახურის მიერ სანებართვო პირობების დარღვევის სამ ფაქტზე შედგენილი სამართალდარღვევის ოქმები[147] სამართალსუბიექტების მიერ გასაჩივრებულია და საჩივართან ერთად საჩივრის განმხილველ ორგანოში იგივე სამართალდარღვევების სხვა სუბიექტის მიერ ჩადენის დამადასტურებელი წერილობითი მტკიცებულებები წარადგინეს. საჩივრები თანდართულ მტკიცებულებებთან ერთად სამსახურს სამართალდარღვევის გამოვლენიდან ორთვიანი ვადის გასვლამდე ჩაბარდა[148].

ადმინისტრაციული ორგანო მის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების მიუხედავად უფლებამოსილია შეცვალოს, ძალადაკარგულად ან ბათილად გამოაცხადოს იგი[149]. ამასთანავე, იმ შემთხვევაში თუ დადგენილია სამართალდამრღვევი და არ არის გასული ადმინისტრაციული სახდელის დადების ორთვიანი ვადა შეადგინოს სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი[150].

საჩივრის განმხილველმა ორგანომ[151] სამივე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი იმ საფუძვლით გააუქმა, რომ სამართალდარღვევა სხვა სამართალსუბიექტმა ჩაიდინა.

იმის მიუხედავად, რომ ამ სუბიექტების მიერ სამართალდარღვევის ჩადენა არაერთი მტკიცებულებით იყო დადასტურებული ამასთან საჩივრის განხილვის დროისთვის სახდელის დადების ვადა არ იყო გასული, სამსახურმა კანონმდებლობის მითხოვნები არ შეასრულა. დამრღვევ სუბიექტებისათვის ჯარიმის დაკისრება და თბილისის თვითმმართველობის ბიუჯეტში საერთო ჯამში 6.0 ათასი ლარის მიქცევა, ამჟამად შეუძლებელია.

---

[141] ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 152[3]-ე მუხლის პირველი ნაწილი ფიზიკურ პირზე 500 ლარი, მეორე ნაწილი-1,000 ლარი და იურიდიულ პირზე შესაბამისად 2,000 და 4,000 ლარი;
[142] QN 1266353;
[143] ს/კ 400026994;
[144] ვ/ნ 01019046539;
[145] QN 1281729;
[146] N 000018;
[147] 2013 წელს-1 ს.ს.“თელასი“, 2014 წელს-1 შ.პ.ს.“კონტაქტი“, 2015 წელს-1 შ.პ.ს.ჯორჯიან ინჯინერინგ ენდ მენეჯმენტ კომპანი";
[148] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლი;
[149] ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 188-ე მუხლი;
[150] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლი;
[151] თბილისის მერია, თბილისის საქალაქო სასამართლო.

N N	სამართალდარღვევის გამოვლენის თარიღი	ოქმის შემდგენი საჯარო მოხელე	სამართალდარრვევის ოქმის ნომერი შედგენის თარიღი	სამართალს უბიექტი, რომლის მიმართაც შედგა ოქმი	ორგანო რომელშიც გასაჩივრდა ოქმი	საჩივრის და თანდართული მტკიცებულებების ზედამხედველობის სამსახურში შესვლის თარიღი	საჩივარზე გადაწყვეტილების მიღების და ზედამხედველობის სამსახურში ჩაბარების თარიღი	თარიღი როდესაც ზედამხ. სამსახურს ახალი ოქმის შედგენა შეეძლო	დამრღვევი, რომლის მიმართ შესაძლებელი იყო ახალი ოქმის შედგენა	ბოლო თარიღი როდესაც შესაძლებელი იყო ახალი ოქმის შედგენა	ჯარიმის ოდენობა
1	25.04.2013	ლევან ბოკელავაძე	000202 02.05.2013	ს.ს.'თელასი" (202052580)	თბილისის მერია	16.05.2013	15.07.2013 18.07.2013	16.05. 2013	შ.პ.ს."ელექტრომონტაჟ სერვისი" (204516899)	26.06.2013	2000 ლ
2	23.09.2014	ლევან ბოკელავაძე	000265 30.09.2014	შ.პ.ს."კონტაქტი" (401957227)	თბილისის საქალაქო სასამართლო	21.10.2014	28.11.2014 12.12.2014	21.10. 2014	შ.პ.ს. "იმედი & იმ" (206337800)	05.01.2015	2000 ლ
3	10.03.2015	დავით დავითაშვილი	000014 10.03.2015	შ.პ.ს.ჯორჯიან ინჯინერინგ ენდ მენეჯმენტ კომპანი" (401957165)	თბილისის საქალაქო სასამართლო	01.04.2015	28.05.2015 20.08.2015	01.04. 2015	შ.პ.ს. "GBC" (416300595)	15.07.2015	2000 ლ

დარღვევის გამოვლენის მიზნით ინსპექტირების პროცესში სამსახური უფლებამოსილია დათვალიერების ოქმი შეადგინოს[152]. აუდიტორთა ჯგუფს შესასწავლად სამსახურმა მხოლოდ 2014 წლის სექტემბრის, ოქტომბრის და ნოემბრის თვეებში შედგენილი 130 დათვალიერების ოქმი წარმოადგინა, ხოლო სხვა პერიოდში, როგორც მათ მიერ გადმოგზავნილი წერილში აღინიშნა, რადგან ოქმის შედგენა სამსახურის უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას წარმოადგენს, ასეთი ოქმები არ შეუდგენიათ. ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსების, შემდგომი გამოყენების ან/და სამუშაოების წარმოების წესის განსაზღვრის შესახებ მარეგულირებელი ნორმატიული აქტების ნორმების მოთხოვნათა სპეციფიკიდან გამომდინარე, სამართალდარღვევის გამოვლენის და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვების უზრუნველსაყოფად, სამსახურის ასეთი მიდგომის გათვალისწინებით, სასურველია დათვალიერების ოქმის შედგენა შესაბამისი უფლებამოსილი მოხელის ვალდებულებად განისაზღვროს.

შესასწავლად წარმოდგენილი ზემოხსენებული დათვალირების ოქმების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ 10 ოქმის შედგენისას სამსახურმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 152[3]-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება გამოავლინა [153] . თუმცა, როგორც სამსახურიდან მიღებული წერილით გვეცნობა სამართალდამრღვევთა მიმართ ადმინისტრაციული წარმოება არ განხორციელებულა. ამჟამად სამართალდამრღვევთა მიმართ რაიმე სამართლებრივი სახით საქმის წარმოება ვეღარ განხორციელდება და სამსახურის მიერ კანონმდებლობით

[152] სამსახურის დებულების 3-ე მუხლი;

[153] დარღვეულია ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მარტის N 05.44.204 დადგენილებით დამტკიცებული „ხაზობრივი ნაგებობის განთავსების, შემდგომი გამოყენების სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე სსოპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ აქტის გამოცემისათვის სამოქმედო ინსტრუქციის“ 3-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“, „ჟ“ ქვეპუნქტის, 2-ე პუნქტის და 5-ე მუხლის მოთხოვნები.

მინიჭებული უფლებამოსილების დროულად შეუსრულებლობის შედეგად თვითმმართველობის ბიუჯეტში საერთო ჯამში 19.0 ათასი ლარის მიქცევა შეუძლებელია.

რეკლამის დაკვეთის, წარმოებისა და გავრცელებისათვის დადგენილი წესების დარღვევა

ადმინისტრაციული კანონმდებლობა მკაცრად განსაზღვრავს იმ უფლებამოსილ ორგანოებსა და თანამდებობის პირებს, რომლებიც ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით შეუფარდებენ[154]. გაფრთხილება ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის ერთ-ერთ სახე წარმოადგენს[155]. ამასთანავე, აბრის დაკვეთისა და გავრცელებისათვის დადგენილი წესების და დარღვევისათვის განსაზღვრული ადმინისტრაციული სახდელის გაფრთხილების გამოყენება სასამართლოს განსჯადობის გათვალისწინებით მხოლოდ მის უფლებამოსილებას განეკუთვნება[156]. ამ დარღვევის მაკვალიფიცირებელი გარემოება დამრღვევის მიმართ გაფრთხილების განსაზღვრიდან 1 თვის ვადაში გაფრთხილების შეუსრულებლობის შემთხვევაში სახდელად ფიზიკური პირის მიმართ 200 ლარის, ხოლო იურიდიული პირის მიმართ 300 ლარის ოდენობით ჯარიმას ითვალისწინებს[157].

სამსახურმა აუდირებულ პერიოდში, ასეთი სამართალდარღვევის 22 ფაქტი გამოავლინა, თუმცა ყველა ოქმი არასწორი სამართლებრივი კვალიფიკაციით არის შედგენილი და სასამართლოში გადაგზავნილი. 21 შემთხვევაში დამრღვევების მიმართ, რომლებსაც სასამართლოს მიერ სახდელად გაფრთხილება განსაზღვრული არ ჰქონდათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ხსენებული მუხლის მეოთხე ნაწილით მხოლოდ სამსახურის მიერ შედგენილი გაფრთხილების წერილის ჩაბარების და ერთთვიანი ვადის გასვლის შემდგომ შეადგინეს. ერთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი კი იმ სუბიექტის მიმართ, რომელსაც წარსულში სასამართლომ სახდელად გაფრთხილება დაუდგინა მაკვალიფიცირებელი გარემოების არსებობის მიუხედავად ამავე მუხლის მესამე ნაწილით შეადგინეს.

ცხელ ხაზზე შემოსულ განცხადებებზე(საჩივრებზე) რეაგირება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საორგანიზაციო სამსახურის - ცხელი ხაზის განყოფილებიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით 2013 წლის 1 ივლისიდან 2015 წლის 1 ივლისამდე პერიოდში უკანონო მშენებლობაზე, განათხარის მოწესრიგებაზე და ხის მოჭრაზე ცხელ ხაზზე შემოსულია ზარების შემდეგი ოდენობა:

წელი	უკანონო მშენებლობა	განათხარის მოწესრიგება	ხის მოჭრა
2013	1,354	603	4[158]
2014	1,661	1,198	337
2015 (6 თვე)	1,205	593	214

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს წერილობით ეთხოვა, მერიის ცხელ ხაზზე შემოსულ საჩივრებზე (განცხადებებზე), რომლებიც მიეკუთვნებოდა ზედამხედველობის საქალაქო-სამსახურის უფლება-მოვალეობას, წარმოედგინა სამსახურის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ ინფორამაცია.

[154] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-8 მუხლი;

[155] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 24-ე მუხლი;

[156] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 159-ე მუხლის მესამე ნაწილი და 208-ე მუხლი;

[157] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 159-ე მუხლის მეოთხე ნაწილი;

[158] წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით 2013 წელს ხის მოჭრაზე შემოსულია მხოლოდ 4 ზარი.

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა ვერ წარმოადგინა, განათხარის მოწესრიგებაზე ცხელ ხაზზე შემოსული ზარებზე სამსახურის მიერ განხორციელებული ქმედებების შესახებ ინფორმაცია. უკანონო მშენებლობასთან და ხის მოჭრასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინფორმაცით შემოსულ ზარებზე რეაგირების შემდეგი პროცენტული მაჩვენებელია:

წელი/დასახელება	**2013**	**2014**	**2015 (6 თვე)**
უკანონო მშენებლობა	16%	30%	42%
ხის მოჭრა	0%	29%	66%

უკანონო მშენებლობასთან დაკავშირებით, შემოსულ ზარებზე, რეაგირების შესახებ ზედამხედველობის სამსახურმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი ინფორმაცია (მტკიცებულებები[159]) მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

აღსანიშნავია ისიც, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ზედამხედველობის სამსახურში არ არის უფლება-მოვალეობები გაწერილი, არ არის ჩამოყალიბებული ცხელ ხაზზე შემოსულ ზარებზე რეაგირების და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები.

მთავარი აუდიტორი	ზურაბ შაყულაშვილი
წამყვანი აუდიტორი	მურმან დარახველიძე
წამყვანი აუდიტორი	დავით გაგნიძე
აუდიტორი	გიორგი მშვილდაძე
აუდიტორი	გიორგი ჭოლოკავა

[159]სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში-სამართადარღვევის ოქმის ნომერი და შესაბამისი მუხლი; სამართალდარღვევის არარსებობის(დაუდასტურებლობის) შემთხვევაში სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ მტკიცებულებები (დათვალიერების ოქმი, საველე აქტი და ა.შ).